ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

# გადაწყვეტილება №5458064

ნომერი: AR1829125

თარიღი : 07.06.2021

გაცემის თარიღი : 18.06.2021

გაცნობის თარიღი : 18.06.2021

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი, პეტრე ქავთარაძის ჩიხი, N 3;

დამკვეთი-განმცხადებელი
- რევაზ ნატროშვილი პ/ნ 01008001002
- თბილისი, ი. აბაშიძის 38

ორგანიზაცია:
- შპს პროსერვისი კოდი: 01008001002

ნომენკლატურა :

- I კლასი
- შენობა-ნაგებობის ფასადისა და სახურავის სარემონტო და მოპირკეთებითი სამუშაოები, როცა ხდება ფერის ან მასალის ცვლილება

რეკონსტრუქცია

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-5, 51-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიეტქტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის, საქართველოს მთავრობის 2019

წლის 31 მაისის №255 დადგენილებით დამტკიცებული მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესის და პირობების, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების თანახმად.

# გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენს მიერ განმეორებით ატვირთული დოკუმენტაცია და გაცნობებთ: ამ ჯერზე არ გაქვთ წარმოდგენილი მონტაჟი. "ფოტომონტაჟი"-ს ველში ატვირთულია არსებული სიტუაციის ამსახველი ფოტომასალა, რომელიც უნდა აგეტვირთათ ".არსებული სიტუაციის ფოტოსურათები"-ს ველში. წარმოადგინეთ არსებულ ფოტოზე დამუშავებული მონტაჟი, ყველა მასალისა და გაბარიტული ზომის დატანით. არსებულ ფოტოზეც დაიტანეთ გაბარიტული ზომები.

გაითვალისწინეთ: "არსებული სიტუაციის ფოტოსურათები"–ს და "ფოტომონტაჟი"–ს ველებში ატვირთულ იქნას ერთი და იგივე რაკურსიდან გადაღებული და დამუშავებული არსებული სიტუაციის ამსახველი ფოტოსურათი და ფოტომონტაჟი.

აქვე გაითვალისწინეთ, რომ სამსახურს ქვის მოხსნა და მისი ლესვით ჩანაცვლება მიზანშეწონილად არ მიაჩნია. გაითვალისწინეთ აღნიშნული და წარმოადგინეთ განახლებული მონტაჟი.

თქვენ გეძლევათ 15 დღიანი ვადა მითითებული ხარვეზების გამოსასწორებლად, თუ დადგენილ ვადაში არ წარმოადგენთ შესაბამის დოკუმენტაციას აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

---

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.